ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 სამშაბათი, 14 აგვისტო № 1553

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარა,დ 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

კნეინა ეკატერინე დიმიტრის ასული და გენერალ-ლეიტენანტი თ. გიორგი სპირიდონის ძე ხიმშიაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი: ძვირფასის შვილისას, ხოლო მეორე—ძმისას

თ. დიმიტრი სპირიდონის ძის ხიმშიაშვილისას

ქ. ტფილისში 12-ს ამ აგვისტოს. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე (ოლგინსკაია, 4). გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

მწუხარებით გულ-მოკლულნი **კნეინა სოფიო დიმიტრის ასული და თ. გრიგოლ ნიკოლოზის ძე დასამაძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი ძვირფასის და დაუვიწყარის მამის, ხოლო მეორე სიმამრის

თ. დიმიტრი სპირიდონის ძის ხიმშიაშვილისას

ქ. ტფილისში 12-ს ამ აგვისტოს. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე (ოლგინსკაია, 4). გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე. კვირა უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ზაზუნაძე—კბილის სნეულებანი 8—10 სათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. ა. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფედოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ა. დ. ბეკთაბეკოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—რ საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ),

ტელეფონი № 274. (წლ.)

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

მე-259 გორის პოლკის პოდპოლკოვნიკი თ ა ვ. ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი გადაყვანილ იქმნა მე-257 ფოთის სარეზერვო ქვეითა პოლკში.

საეკლესიო სამრევლო სკოლები ქართლ-კახეთის ეპარქიაში

(„პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ს წერილი)

ეხლა-ხან ქართულ პერიოდულ მწერლობაში აღნიშნული იყო ხმა, რომ ქართლ-კახეთის ეპარქიაში შემოღებული იქმნება ახალი ტიპი საეკლესიო სამრევლო სკოლისა, უარჰყოფილია ძველი, როგორც უვარგისი, და განზრახვა აქვთ წარადგინონ პროექტი ახალი ტიპის სამრევლო სკოლისა.. 15 წლის წინად უწმინდესმა სინოდმა შეიმუშავა და დაამტკიცა სოფლისა და ქალაქის სამრევლო სკოლების პროექტი. ამ პროექტით სწავლა უნდა გაგრძელებულიყო სამი წლიწადი და სწარმოებულიყო ქართულ ენაზე, რადგან ამ სკოლების მოწაფეთა დიდი უმრავლესობა ქართველებია, რუსული ენა უნდა ესწავლათ, როგორც ცალკე საგანი. აქამდე ამ პლანის მიხედვით სწარმოებდა სწავლა, მაგრამ გასულ წელს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გადასწყვიტა სწავლის ვადას მოუმატოს კიდევ ერთი წლიწადი და ამ ცვლილების შესახებ დაეკითხა ადგილობრივ კომისიას, რომელიც შესდგებოდა ერთის რუსის და ორის ქართველისაგან. კომისიამ საჭიროდ დაინახა ძველის ტიპის სამრევლო სკოლის შენახვა და დაუმატა, რომ მეოთხე წელს სწავლება უნდა სწარმოებდეს რუსულ ენაზეო.

ამ გვარი სკოლა რაციონალური იქნებოდა, მაგრამ უცნობისა და ჩვენთვის გაუგებარის მოსაზრებით კომისიის ეს პასუხი უყურადღებოდ დასტოვეს და შეიმუშავეს ახალი პროექტი, რომელიც, მგონი, კიდეც გაგზავნეს უწმ. სინოდში დასამტკიცებლად. ვნახოთ ეხლა, თუ რას წარმოადგენს ეს ახალი პროექტი და რა გაუმჯობესობა შეაქვს მას ადგილობრივ სკოლაში—ცვლილებას ხომ ყოველთვის გაუმჯობესობა უნდა ჰქონდეს სახეში. ახალის პროექტით უნდა დაარსდეს სამრევლო სკოლის ორი ტიპი: 1) ქალაქის სამრევლო სკოლა და 2) სოფლისა. ქალაქის სკოლებში სწავლობენ რუსები და მკვიდრნი, ან მარტო მკვიდრნი ქართველები, სომხები, ოსები. სოფლის სკოლებში სწავლობენ მხოლოდ ქართველები; თუ კი სოფლის სკოლაში ერთი არა ქართველი ურევია, იგი ქალაქის სამრევლო სკოლას ეთანაბარება. ამ სკოლებში-კი ყველა საგნების სწავლება უთუოდ რუსულ ენაზედ უნდა სწარმოებდეს, თუნდაც რომ ყველა მოსწავლე მარტო ქართულად ლაპარაკობდეს, რაც მეტად ხშირად ხდება ხოლმე. რაც შეეხება სოფლის სამრევლო სკოლებს, აი რა სწერია პროექტში: თუ ყველა მოსწავლე ქართველია და მასწავლებელმა იცის ქართული ენა, შეიძლება, რომ პირველ სამ წლიწადს საგნებს ქართულად ასწავლიდნენ. როგორც ვხედავთ, შესაძლებელი ყოფილა, რომ მასწავლებელმა, რომელიც იგზავნება ისეთ ადგილას, სადაც არც ერთი რუსი ან რუსულად მოლაპარაკე არ მოიპოვება, არ იცოდეს ქართული ენა. როგორღა უნდა ასწავლოს ამისთანა მასწავლებელმა?.. რაც უნდა იყოს ერთი კი ცხადია, რომ პროექტის შემდგენელთ არ იციან ადგილობრივი პირობები, არ იციან, რომ ყველა სამრეწველო სკოლებში დიდი უმრავლოსობა ქართველებია, და თუ არიან სხვა ტომის წარმომადგენელნიც (სომხები, ოსები), ამათ მშვენივრად იციან ქართული. მეორეს მხრით კი, არც ერთმა სამრევლო სკოლაში შემსვლელმა არ იცის არც რუსული ლაპარაკი, არც რუსული წერა-კითხვა. ცხადია, რომ ეს პროექტი, თუ განხორციელდა იგი, წერაკითხვის და განათლების გავრცელების მაგიერ, შეაჩე-

ფელეტონი

სამშობლოსათვის!

ამბავი ტრანსვაალის ცხოვრებიდან

(თარგმანი)

V*)

მშვენიერი სააგარაკო ადგილია ბერეა. იგი გადაშლილია პატარა მთაზე, რომელიც უხვად არის შემოსილი მაღალი ხეებით და მხიარულად გადასცქერის ზღვას, რომელსაც ღრმა და ფართო ნავთსადგური გაეკეთებინა. იმისი თეთრი კოხტა სახლები მთლად ჩამალულია გაზაფხულის ზურმუხტად მობიბინე ნაზ მწვანეულობაში. იდგა 1899 წლის მარიამობის თვე.

ერთ განმარტოვებულ სახლის ოთახში ისხდნენ ქ. ახტერმანისა და ანნა ტილე და რაღაცას მუჟაითად ჰკითხულობდნენ. ქ. ახტერმანისა ისევ ისე ყოჩაღად გამოიყურებოდა; იმისი ჭროლა თვალები ისევ იმავე გულკეთილობით და გულკაშლილობით ბრწყინავდნენ. ანნა კი ხანგრძელ ავადმყოფობის შემდეგ ძალიან გამხდარიყო და უღონოდ იყო, სწორედ გეგონებოდათ, ის თავისდღეში ველარ გამობრუნდებაო. ნერვების ავადმყოფობა, რომელიც იმან კეთილად გამოიარა, ისეთი საშიში აღმოჩნდა, რომ არავის ეგონა იმისი მორჩენა. მას აქეთ გავიდა შვიდი თვე. როცა ქ. ახტერმანის მეუღლე გადაყვანილ იქმნა ბერეაში, ანნაც თან გაჰყვა. თუმცა ანნამ ჰავა გამოიცვალა, მაგრამ იმისი სრულ ჯანზე დადგომა ჯერ კიდევ შორს იყო. საიდუმლო მწუხარება სტანჯავდა ანნას; ქ. ახტერმანისამ კარგად იცოდა იმის მწუხარების მიზეზი, მაგრამ არაფერს არეუბნებოდა. საკვირველი კი იყო, რომ ეს ახალგაზდა ქალი თავის გულის ძგერასაც არ უმალავდა დედასავით საყვარელ ქ. ახტერმანისას და დომერსზე ლაპარაკს კი ერიდებოდა. ქ. ახტერმანისა ჰგრძნობდა ამას და არც თითონ ჩამოუგდებ(ლ)ა ხოლმე ამაზე ლაპარაკს, მით უმეტეს, რომ დომერსის საქციელმა ისიც ძალიან შეაწუხა და გააკვირვა; ამას ზედ დაერთო კიდევ გაზეთების ალაპარაკება და გაქცეულის შეპყრობის ბრძანება. ქ. ახტერმანისას ვერ წარმოედგინა დომერსისაგან ასეთი ავაზაკობა! ის კაცი თავის მოუფიქრებლობისა და წინდაუხედაობისა გამო გახდა ქურდი, ყველასაგან დაწყევლილი და დევნილი. მაგრამ იმაზე უფრო ქ. ახტერმანისას ებრალებოდა ანნა, რომლისათვისაც თვით ცხოვრებაც-კი ფუჭ-ამაოებათ გამხდარიყო.

ანნას არა სჯეროდა დომერსის დანაშაულობა და სცდილობდა ყოველი იჭვი გაეფანტა. ყველაზე უფრო იმას აწუხებდა ის გარემოება, რომ არავითარი ცნობები არ მოსდიოდა დომერსისაგან. თუმცა ის კი იცოდა, რომ იგი ევროპაში გაიქცა, მაგრამ ამდენს ხანს რატომ არაფერს არ იტყობინებოდა? რატომ სიცოცხლის ნიშანს არ იძლეოდა? როგორ სცხოვრობს, სად იმალება, ავად არის, ცოცხალია, თუ მკვდარი?

ანნა იმას კი არა ჰფიქრობდა, რომ დომერსს არ შეეძლო წერილის მოწერა, რათა თავისი თავი მახეში არ გაება. თვით ჰენდრიკიც ძალიან სწუხდა, რომ უბრალო მოკითხვის დაწერაც-კი არ შეეძლო, მაგრამ იმან გადასწყვიტა, მამაცურად გამოეტანა თავი მწარე ხვედრიდგან.

ანნამ თავი აიღო წიგნიდგან და გაჰხედა შორს, მზისაგან ვერცხლებრივ მოლაპლაპე ნავთ-სადგურს.

—აგერ რა დიდი გემი მოვიდა!—სთქვა იმან და ახალმოსულ გემზედ მიუთითა.

ქ. ახტერმანისამ გაჰხედა დურბინდით.

—ეს გერმანელების გემია,—სთქვა ამან.—მე წავალ ფოსტაში და გავიგებ, იქნება რამე იყოს შენს სახელზედ.

ქ. ახტერმანისა წავიდა ფოსტაში. ანნამ აიღო დურბინდი და კარგა ხანს უყურებდა ახალმოსულ გემს. ახალგაზრდა გოგოს გულმა თითქოს იგრძნო, ვინც იდგა ხომალდის ერდოზედ და ჩაფიქრებული შეჰყურებდა დურბანს და მის წინ გაშლილ ბერეას.

მკითხველი მიხვდება! დიახ, ის იყო ჰენდრიკ დომერსი, მაგრამ ძნელად თუ კაცი ეხლა იმას იცნობდა: იგი სრულიად ჩამომხმარიყო და გაყვითლებულიყო, რასაც ერთი-ორად უზვიადებდა მოპარსული პირისახე. საბრალო შვიდი თვის დევნილი, ეხლა ისევ თავის საყვარელ სამშობლოს შესცქეროდა.

გემიდგან ის პირდაპირ ფოსტისკენ გაეშურა. ფოსტაში და ფოსტის ქუჩაზედ დიდძალი ხალხი ირეოდა, როგორც ყოველთვის, როცა ევროპიდან გემი მოსულია. ყველა მოუთმენლად ელოდა ფოსტის გარჩევას. დომერსს უნდოდა გაეგო, ხომ არაფერი იყო იმის სახელზედ პრეტორიიდგან. მთელი საათი უცადა და ძლივს მიუახლოვდა ერთს მოხელეს, რომელიც აწვდიდა ხალხს წერილებს. აქ, თავის გვერდით, იმან დაინახა ვიღაც ქალი, რომელიც გულ-მოდგინეთ ათვალიერებდა იმას. ეს იყო იმისი დობილი ახტერმანისა.

—ნუ თუ შენა ხარ, ჰენდრიკ? ნელა ჰკითხა ქ. ახტერმანისამ, როცა იმათი თვალები შეიყარნენ.

—მე ვარ, მაგრამ ეხლა მე კემბდენი მქვიან. ეს-ეს არის მოველი გერმანელბის გემით. შენ რაღას აკეთებ აქა?

მაგრამ ამ დროს მოხელემ წამოიძახა:

—წერილები ქ. ახტერმანისა და ანნა ტილესი!

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1543.

რებს და შეაფერხებს მის გონებრივ განვითარებას.

მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს პროექტი, რომელიც ჯერ მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი, ქაღალდზევე დარჩება სამუდამოთ, რადგან იგი სრულებით არ შეეფერება იმათ ცხოვრებას, ვისთვისაც იგია შედგენილი...

სიზან-ბერი

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი. ჩვენ ვიცით ხომ სახელმწიფო საბჭომ დაამზადა ორი დეკრეტი (ბძანება), სადაც ახსნილია, თუ როგორ უნდა აღსრულდეს კანონი ასოციაციების შესახებათ. დეკრეტებს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა და ეხლა გაზეთებმა დაბეჭდეს კიდეც. მომეტებულ ნაწილად ამ დეკრეტებში ისა სწერია, რასაც წინად გაზეთები იუწყებოდნენ. პირველი დეკრეტი 34 მუხლისაგან შესდგება. ამ დეკრეტში აღნიშნულია: რომელი კონგრეგაციაც 1 ივლისამდე აიღებს ნებართვას, ის კონგრეგაცია მარტო ვალდეკ-რუსოსაგან 1 ივლისს გამოცემულ ბრძანებას ექვემდებარებათ. ამ კონგრეგაციებმა თავიანთ წინამძღვრების საშუალებით უნდა ითხოვონ ნებართვა. თხოვნასთან ერთად უსათუოდ უნდა წარადგინონ: კონგრეგაციის წესდება, უძრავ-მოძრავი ქონების და წევრების სია; სიაში უნდა დაწერონ, ყოველ წევრს რა სახელი ჰქვიან ბერობაში და რა სახელი ერქო, როცა ჯერ ერის კაცად იყო; რა ეროვნებისა და ხნოვანებისაა, სად დაბადებულა და კონგრეგაციის წევრად როდის შესულა. წესდებაში უნდა აღნიშნული იყოს, რა აზრს მისდევს კონგრეგაცია, თუ განყოფილებაც აქვს, უნდა ისიც აღინიშნოს, რა ადგილასაა ეს განყოფილება, თანაც კონგრეგაციის უფროსი ვალდებულია ეპარქიის ეპისკოპოსს ემორჩილებოდეს. რაც ამას იქით კონგრეგაცია დაარსდება და ან რაც კონგრეგაცია მარტო 1 ოქტომბერს იქით მოითხოვს ნებართვას, ამათთვის უფრო სასტიკი წესები იქმნება დაწესებული. ამნაირმა კონგრეგაციებმა თავიანთ სიებში უნდა აღნიშნონ, რომელი წევრი ითვლებოდა წინად ბერების კრებულში, რა სახელი ერქო და როდის გავიდა კრებულიდან. კონგრეგაციის წესდებაში დაწვრილებით უნდა აწერილი იყოს, საიდან და რა შემოსავალი აქვს კონგრეგაციას და რაზე იხარჯება ეს შემოსავალი. კონგრეგაციები ისეთსავე სამოქალაქო კანონებს ექვემდებარებიან, როგორებსაც ექვემდებარებიან საზოგადოდ საქველმოქმედო ასოციაციები; კონგრეგაციებსაც და ამ ასოციაციებსაც სამოქალაქო უფლება შემცირებული ექნებათ. წესდებაში უნდა ეწეროს აგრეთვე, რომ კონგრეგაცია ეპარქიის ეპისკოპოზს ემორჩილება ყველაფერშიო. ნებართვის თხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინონ სათანადო ეპისკოპოსის განცხადებაც. ეპისკოპოსმა უნდა გამოაცხადოს, რომ თანახმაა კონგრეგაცია და მისი წევრები თავის ხელქვეით იყოლიოს. ნებართვის თხოვნა შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა მიართვან; მინისტრი გამოძიებას მოახდენს და უმთავრესად მოვალეა იმ კომუნის (თემის) თვითმმართველობის საბჭოს აზრი გაიგოს, რა თემშიაც კონგრეგაცია დაბინავდა, ან დაბინავებას აპირებს; უნდა დაეკითხოს აგრეთვე იმ თემის პრეფექტსაც. მთავრობა მოვალეა ყოველი თხოვნა პარლამენტს წარუდგინოს. მთავრობას მარტო იმის უფლება აქვს მიცემული, რომ პარლამენტს ურჩიოს ბერების თხოვნა უარჰყავითო.

მეორე დეკრეტში 14 მუხლია. ამ დეკრეტში დაწვრილებითაა აღნიშნული, თუ რა წესით უნდა მოხდეს აღკრძალული კონგრეგაციების ქონების ლიკვიდაცია.

✿ როგორც უკანასკნელმა აღწერამ აღმოაჩინა, საფრანგეთის ხალხის რიცხვს უმატნია, ამიტომ პალატაში დეპუტატების რიცხვსაც უნდა მოუმატოს. ეხლა პალატაში 581 დეპუტატია, მომავალი არჩევნის—1902 წ. უნდა მოხდეს—შემდეგ-კი დეპუტატების რიცხვი—589-მდე ავა. პარიზს სამი დეპუტატი მოემატება, პროვინციაში 9 ოლქს თითო დეპუტატი მოემატება, 4 ოლქს-კი თითო დააკლდება, ასე რომ საზოგადოდ სულ რვა დეპუტატი მოემატება პალატას.

ინგლისი. «ჭკუამ მოჭამა სოფელი, ვერც ხმალმა ამოდებულმაო»,—აი ამ გზას ადგა წინად ინგლისის მთავრობა და მართლაც და სახელოვნად მიჰყავდა სახელმწიფო საქმეები, ინგლისმაც ამ გზაზე სიარულით საოცარ განვითარებამდე მააღწია, სახელიც დიდი მოიპოვა და სახრავიც, თანაც არც არავინ შეუწუხებია და დაუღონებია. პირ-იქით მთელი ქვეყნიერება მადლიერი ჰყავნდა: ძლევა-მოსილ თავისუფალ ინგლისს ყველანი ჩაკრულდ ნუგეშად და იმედად სთვლიდნენ. სადა-კი უცხო ერი ჰყავდა დამორჩილებული, ინგლისის ქვეშევრდომობა ყველას სასახელოდ და საამაყოდ მიაჩნდა. მაგრამ გამოიცვალა დრო და ინგლისის მმართველობის სათავეში იმპერიალისტები ჩადგნენ. ყველა იმპერიალისტმა და მეტადრე ამათ განთქმულმა მეთაურმა ჯოზეფ, ან როგორც ირლანდიელები ეძახიან, «იუდა» ჩემბერლენმა თითქო თვალი მიუგდეს სხვა ბარბაროსულ სახელმწიფოებს, თითქო შეჰშურდათ ამათი მტარვალობა და ძალ-მომრეობა, და თითონაც ნელ-ნელა და თანდათან ხსენებულ ბარბაროსთაგან ბევრი რამ გადაიღეს და ძალ-მომრეობის გზას დადგნენ. თავიანთ პოლიტიკით ვერც რა ინგლისს შესძინეს დიდი ხარჯისა და სახელის გატეხის მეტი და სხვა პატარა ერებს კი სწორედ რომ ბედი აწყევლინეს. როგორც ვიცით, ბატონმა ჩემბერლენმა თავისი მოწყალება არც პატარა კუნძულ მალტას მოაკლო და ამასაც გადაავლო თავისი კეთილი თვალი. თუ რა შედეგი მოჰყვა ამ ახალ პოლიტიკას, ზოგი ხომ ვიცით კიდეც და აი კიდევ რას იუწყება «რუსსკია ვედომოსტი»-ს ლონდონელი კორესპონდენტი:

«იმპერიალისტები ეხლა კი შეიგნებენ იმ ჭეშმარიტებას, რაც ევროპაში დიდი ხანია შეიგნეს. ყოველი ერი, დამორჩილებული დიდი იმპერიისაგან, მანამდეა მხოლოდ ამ იმპერიის ერთგული, სანამ იმპერია პატივსა სცემს ამ ერის კანონებს, მის მამა-პაპის ენას, სარწმუნოებას და საყვარელ გმირებს. ეხლა ცხადია, რამდენათაც დიდი ერი პატივსა სცემს დამორჩილებულ ერს, იმდენად ერთგულად ექცევა ეს მეორე ერიც. ძალმომრეობას ერთი და იგივე შედეგი მოსდევს: დაჩაგრული ერი მტრობითა და სიძულვილით უწევს ცქერას თავის დამჩაგვრელს; დაჩაგრული ქვეყანა რევოლიუციონურ ამბოხების და აჯანყების ბუდედ გადაიქცევა ხოლმე. აი სწორედ ესეთი სურათი იშლება ჩვენ თვალ-წინ კუნძულ მალტაზედაც».

ამის შემდეგ ავტორს ზოგიერთი ცნობები მოჰყავს კუნძულის შესახებ და მერე ისევ განაგრძობს:

«მახსოვს ამ ზამთარს ტუნისში ერთი მალტელს ვკითხე: «ფრანგი ხომ არა ხარ?» მეთქი—«არა, ბრიტანიის ქვეშევრდომი ვარო»,—მიპასუხა ამაყად. მართლაც და მალტა განთქმული იყო თავისი ერთგულებით. თუმცა ენით იტალიის ენათესავება, თუმცა კუნძულ სიცილიიდან მალტამდე სულ 50 ვერსტია, მაინც მალტას თავის დღეში არ მოუნდომებია იტალიასთან შეერთება, მაშინაც კი არ მოინდომა, როცა მთელი იტალია გმირულად იბრძოდა თავისუფლებისა და გაერთიანებისათვის. ინგლისმა თვითმმართველობა მისცა მალტას, მის შინაურ საქმეში არ ერეოდა და მას ენას არ ეხებოდა. მარტო ეხლა ახალშენების მინისტრმა ჩემბერლენმა ბრძანება გამოსცა, სკოლებში იტალიური ენის მაგიერად ინგლისური უნდა შემოვიდოთო, ამის გარდა მინისტრმა დიდი გადასახადები დაადო, თანაც ისე შემოიდო ეს გადასახადები, რომ მალტელებისათვის ერთი სიტყვაც არ უკითხავს. და აი რამდენსამე თვეში ინგლისის ერთგული კუნძული ამბოხებისა და აჯანყების ბუდედ გადაიქცა. მალტელების კომიტეტმა ინგლისურ გაზეთებში პროტესტი გამოაცხადა: «ჩვენ პატარა უიარაღო, უძლური ხალხი ვართ, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ მონობას ისევ სიკვდილი გვირჩევნია. ჩემბერლენი ახალ ხარჯებს გვადებს და იმ ენას გვიკრძალავს, რა ენაზედაც მამით-პაპით ვლაპარაკობთ. ვაცხადებთ: თუ ძალა ინგლისის მხარესაა, სამაგიეროდ სიმართლე ჩვენს მხარესაა. ინგლისს ფიცი აქვს მოცემული, რომ თქვენ კანონებსა და ენას დავიცავთო. ეხლა კი თითონვე თავის ფიცსა სტეხს!»

შემდეგ ავტორი მალტიელების მანიფესტზე და კრებებზე ლაპარაკობს, ეს ამბავი ჩვენმა მკითხველებმა იციან და ამიტომ აღარ მოგვყავს. დასასრულ კორესპონდენტი აი ამბობს:

«მალტას დედა ქალაქ ლავალეტის გაზეთმა «ლავალეტა»-მ დასწერა: «ჩვენის ერთგულობისათვის უსაზღვრო ვისჯებით ეხლაო, უსაზღვრო არც ერთგულება გვრგებულაო». მალტელები მედგარ ბრძოლას აპირებენ ინგლისთან. ვინ ამბობს, რას უნდა გახდეს მალტა ინგლისთან: სად მთელ ქვეყნიერობაზე უძლიერესი იმპერია და სად პაწია კუნძული; მაგრამ იმპერიალისტებმა გამოსცადეს და იწვნიეს, თუ რა შესძლებია პაწია ერს, როცა ეს ერი აღფრთოვანებულია თავისუფლების სიყვარულით, იმპერიალისტებმა კარგად იციან, რა საშინელი ბრძოლა და მტრობა შეუძლიან პატარას, მაგრამ გონება გადვიძებულს ერს. მალტას მაგალითი კიდევ ერთხელ ცხადად უმტკიცებს ჩემბერლენს, რომ სახელმწიფო ინტერესებისათვის და სხვა

უკანასკნელმა სახელმა დომერსი შეათროთოლა. ქ. ახტერმანისამ მიიღო წერილები და დაუწყო ლოდინი დომერსს, რომელიც კემბდენის სახელით წერილებს იღებდა.

……

სალამო იყო, როცა ქ. ახტერმანისა მოვიდა სახლში. გალავანში იმას უცდიდა ანნა.

— ნუ გაჯავრდები, საყვარელო ანნა,— სთქვა მღვდლის ცოლმა:—რომ ამდენ ხანს დავიგვიანე. მაგრამ იცი, ევროპიდან ნაცნობები ვნახე და ლაპარაკში გავერთე.

— როგორ, მართლა ნახე ვინმე?

— მაშ! ნაცნობები კი არა და ერთი ნაცნობი ვნახე. ოჰ, ეხლა ჩვენ დიდხანს აღარ ვიქნებით ერთად.

— როგორ?—გაკვირვებით შეეკითხა ანნა, და იმისი უფერული ლოყები წითლად გაღვივდნენ.

— მე შენი ვერა გამიგია-რა.

— მერე გაიგებ. მე მოგიტანე ბევრი ძალიან სასიამოვნო ამბები და მინდა გიამბო; მაგრამ იმდენად ჯანი შეგწევს, რომ ყური დამიგდო?

— მე ძალიანაც კარგათა ვარ, შენი ჭირიმე, ნუ მაწვალებ, სთქვი!—წამოიძახა აღელვებულმა ანნამ.—იმაზე იცი რამე?

— ჰო. მე ვნახე ერთი კაცი, რომელიც ევროპიდან მოვიდა და ბევრი ამბები მითხრა ჰენდრიკის შესახებ.

ანნას გულმა ძაგა-ძუგი დაუწყო და სახე ცეცხლივით აენთო.

— ძალიან სასიამოვნო ამბებია,—განაგრძო მღვდლის ცოლმა:—ჰენდრიკი მალე უბრალოდ იქნება გამოცხადებული.

— მე მაინც არა მჯეროდა იმისი ბრალიანობა!—უნებლიე წამოიძახა ანნამ და სიხარულის ცრემლებით თვალები გაუბრწყინდა.

— პრეზიდენტ კრიუგერს ევროპიდან დაუბარებია ჰენდრიკი და მალე აქ იქნება. ჰო, მართლა, კიდევ ახალი ამბავი: ჩვენში მგონი ომი იქნება.

— ომი? გაკვირვებით შეეკითხა ანნა.

— ჰო, ტრანსვაალის ომი ინგლისთან. შენ, თუ გინდა, ევროპაში წადი და მე და ჩემი ქმარი-კი იოჰანესბურგში დავბრუნდებით.

— არა, შენი ჭირიმე,—გადაეხვია ანნა დედობილს:—მეც შენთან წამოვალ; შენ ჩემი საუკეთესო და დაუფასებელი მეგობარი ხარ, და მე მინდა, რომ ჭირშიაც შენთან ვიყო და ლხინშიაც.

ქ. ახტერმანისამ აკოცა ახალგაზრდა გოგოს და მერე საჩქაროდ უთხრა:

— იცი, ცოტა ცივა და კარგი იქნება, რომ შენს ოთახში წახვიდე.

ანნა წამოდგა და მღვდლის ცოლი მხარზე დაყრდნობილი წავიდა სახლისაკენ. იმის სიარულს ისეთი ულონობა და დაღლილობა ეტყობოდა, რომ ამ სცენის მაყურებელი ღობეს უკან ამოფარებული კაცი მთლად დაიტანჯა.

ანნა რომ სახლში შევიდა, ცოტა ხანს უკან ისიც შეჰყვა. კარებთან ქ. ახტერმანისა შემოხვდა და შეიყვანა იმ ოთახში, სადაც ანნა იჯდა.

— სალამო მშვიდობისა ანნა!—სთქვა იმან ხმის კანკალით მეტის მღელვარებისაგან. სიხარულით აღტაცებულმა ახალგაზრდა გოგომ ერთი შეჰკივლა და გადაეხვია თავის საყვარელ საქმროს.

—

1899 წლის ოქტომბრის პირველი რიცხვები იყო. სამხრეთი აფრიკა ომიანობის მოლოდინში იყო. პრეტორიაში ფოლკსრაადი შეიკრიბა საიდუმლო სხდომაზე. დარბაზის კარებს, სადაც სხდომა იყო, დარაჯები ადგნენ და არავის უშვებდნენ.

პრეზიდენტი კრიუგერი ამბობდა:

„ჩვენ მოვემზადენით დიდ ომიანობისათვის. აი როგორ: დინამიტების მრეწველობის შემოსავლით შევისყიდე ევროპაში მრავალი ზარბაზნები, თოფები და სხვა და სხვა იარაღები. ჩვენ გვბრალდებოდა, რომ ხაზინას ბევრი ფულები აკლდებაო, მაგრამ მე ჩუმად ვიყავი, რადგანაც მართლა იძულებული ვიყავი მმართველობის ხაზინიდან ფულები მეხარჯნა ანგარიშ მიუცემლად. ეს საჭირო იყო, რათა ჩვენი შეიარაღება დრომდის საიდუმლოდ დარჩენილიყო. მაგრამ, როცა ამ ნაირად გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, ჩემ დაჟინებულ თხოვნა-მუდარით ჰენდრიკ დომერსმა მიიღო თავის თავზე ყოველი ბრალი, ვითომ იმის გამო მოხდა ყოველი დანახარჯი, ვითომ ის არის ქურდი. რასაკვირველია ის სავსებით უბრალოა. ჩემისავე თხოვნით დომერსი შერცხვენილი სახელით გაიქცა ევროპაში, რომ ყველა იჭვს გარეშე ყოფილიყო იმის ბრალიანობაში. ევროპაში მაგის შემწეობით იქმნა შესყიდული უკანასკნელი სხვა და სხვა საჭირო იარაღები, რომელნიც ამ ორი კვირის წინად მშვიდობიანად მივიღეთ. ზარბაზნები იყო დამალულები ვეებერთელა გამოფუღრულ ხეებში, ისე რომ ვერავინ ეჭვს ვერ აიღებდა. ეხლა მე გკითხავთ: უნდა მოვითხოვოთ თუ არა, რომ ინგლისმა თავისი ჯარი გაიყვანოს ჩვენი საზღვრებიდან სამი დღის განმავლობაში და რომ კვლავ აღარავითარი სამხედრო ძალა არ გამოგზავნოს ხოლმე სამხრეთ-აფრიკაში?“

თანხმობის ნიშნად საერთო ყვირილი აღტაცებისა და ტაშის-ცემა გაისმა მთელ დარბაზში. იმ ღამესვე პრეტორიიდან ყოველ მხარეს გაგზავნეს დეპეშები, რომ ყველანი შეიარაღებულიყვნენ. სალამოთი ფოლკსრაადის და მმართველობის წევრნი ხელ-მეორედ შეიყარნენ საიდუმლო სხდომაზე. ამ სხდომას დაესწრო ჰენდრიკ დომერსიც, რომელსაც ყველანი დიდი სიხარულით და პატივისცემით მიეგებნენ. ერთი კვირის შემდეგ მთელი ტრანსვაალის გაზეთები იმის გმირულ ღვაწლზე ლაპარაკობდნენ.

კიდევ ერთი კვირას შემდეგ მისსიონერმა ახტერმანმა პრეტორიაში დააგვირგვინა ჰენდრიკ დომერსი და ანნა ტილე. დედოფლის სახე ისეთის სიხარულით და სიცოცხლით იყო აღსავსე, ისე ბრწყინავდა და შვენოდა, რომ ვერავინ იტყოდა, თუ იგი ამ ცოტა ხნის წინად ავად იყო და მრავალი ტანჯვა-გამოცდა გამოიარაო. უკანასკნელ კვირეებმა გასაოცრად კეთილად იმოქმედეს იმაზე.

როგორც მმართველობის წევრს და მასთანავე გაფუჭებულის ხელის პატრონს, დომერსს არ შეეძლო ომში წასვლა და პრეტორიაში დარჩა.

ვუსურვოთ, რომ ომიანობის საშინელებამ კეთილად განვლოს მათი სამშობლო და ეს ორივე ახალგაზრდა მეუღლენი.

(დასასრული)

და სხვა ერების ერთ იმპერიად შედუღებისათვის, პატარა ერების ენისა, კანონების და ჩვეულების დევნა პირდაპირ საზარალოც არის, და ამავე დროს უშნოობაც.

სამხრეთ-აფრიკა. როგორც ვიცით, გაზეთმა «მატენ»-მა გამოაცხადა, პრეზიდენტი კრიუგერი თანახმა ხდება, ზღვაში ყაჩაღური, მეკობრული ომი გამართოს ინგლისთანაო. ეხლა ბევრი გაზეთი ამტკიცებს, «მატენ»-ის ცნობა ტყუილი ცნობააო. ჰოლანდიური გაზ. «ჰანდელს ბლად»-ი აცხადებს: არა მგონია, სახელმწიფოებმა მოიწონონ ესრეთი ძველებური სამხედრო წესით. გაზ. «ინდეპენდანს ბელჟი» უფრო მეტსაც ამბობს: «საფიქრებელი არაა, რომ ბურებმა უღალატონ თავიანთ კეთილ-შობილურ, სინიდისიერ წესებს და ყაჩაღობის ნება მისცენ ვისმეო. გაზეთი ამბობს: ბურები აქამდე ისე იომებდნენ, როგორც განათლებულს ერს ეკადრება, ბევრჯერ ისეთ კეთილშობილებასა და სულგრძელობასაც იჩენდნენ, რომ თავიანთ მტრებიც-კი გაკვირვებაში მოჰყავდათ. ბევრი სძრახავდა კიდეც, ეგეთი სინიდისიერი ქცევა ომში არ გამოდგებაო. ამიტომ ეხლაც არა გვგონია, ბურებმა ცუდი, უსინიდისო რამ იკადრონ: აქამდეც როგორც ნამდვილი კაცური კაცები იქცეოდნენ და ბოლომდეც ასე გაატანენ და სახელს არას დროს არ გაიტეხენო.

ახალი ამბავი

✦ როგორც გავიგეთ აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში ჩამობრძანდება მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი **მიხეილ ნიკოლოზის** ძე. დიდი მთავარი დაესწრება მომავალ საიუბილეო დღესასწაულებს საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო. მის უმაღლესობასთან ერთად ჩამობრძანდებიან დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე უავგუსტოესის მეუღლებითურთ და აგრეთვე საბერძნეთის დედოფალი ორის შვილით.

✦ ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვენჩინი ახალქალაქს წავიდა, სამსახურის საქმეებისა გამო. გუბერნატორი მიეგებება იქ გუმბრიდან დაბრუნებისას **დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის** ძეს, რომელიც 15 აგვისტოს ბორჯომში აპირებს მიბრძანებას.

✦ ქ. ფოთიდან გვწერენ: „ჩვენ მხცოვან **გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზს** ალექსანდრეს განუზრახავს შემოდგომაზე მოვლოს გამაჰმადიანებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და შავშეთში ნახოს განთქმული ტბეთის ტაძარი. ეს პირველი მაგალითია, რომ ვინმე ეპისკოპოსს ქართველ მაჰმადიანთა შორის ემოგზაუროს“.

✦ კავკასიის გამოფენის კომისარმა პასუხი მიიღო თავის დეპეშაზე **გზათა მინისტრის თავ. ხილკოვისაგან**, რომელიც თანაგრძნობას უცხადებს გამოფენის გამართვის გამო და ატყობინებს, ხელახლავ განვიხილავთ საკითხს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზებმაც მიიღონ მონაწილეობა კავკასიის გამოფენაშიო.

✦ მომავალ გამოფენისათვის **ახალგაზდა მხატვარი** ტარასი მომცელიძე ამზადებს ექვს სურათს: 1) „მკვდრის გამოტირილი“ (დიდი სურათი); 2) რაჭველი მხერხავი; 3) ქართველი ებრაელი; 4) ბერძენი-მათხოვარა; 5) ტფილისელი მოქალაქე; და 6) ახალგაზდა გურული.

✦ ყარსის ოლქიდან ჩამოვიდა ქურთი ომარი ორის ქალით, რომელნიც იქაურ ადმინისტრაციას გამოუგზავნია გამოფენაზე **ხალიჩების ქსოვის** დემონსტრაციისათვის.

✦ **კავკასიის გამოფენის** სამეცნიერო-სტატისტიკო განყოფილების გამგე მთხოვნელთ მიიღებს ყოველ დღე საღამოს $5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ საათამდე.

✦ წარსულ კვირა დღეს ქარმა ტფილისის გამოფენაზე ყვავილები და ახლად დარგული ხეები დააზიანა, მაგრამ უმთავრეს და კერძო პავილიონებისათვის კი სათქმელი არა დაუშავებია რა.

✦ კავკასიის საექიმო საზოგადოების ერთ ერთ წევრმა გადმოგვცა, რომ დღემდის **მხოლოდ რამდენიმე მოხსენებაა** წარმოდგენილი კავკასიის ექიმთა მომავალ კრებისათვის. ერთი მოხსენებაც არავის წარმოუდგენია მალიარიის შესახებ, თუმცა იმისთვის განსაკუთრებული კომისიაც იყო არჩეული. საზოგადოდ კრება უფერული იქნება, რადგან სამეცნიერო მასალა მეტად ცოტაა წარმოდგენილი და მათი წარმოდგენის ვადაც მალე თავდება.

✦ ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებამ მოიწონა ტფილისის ვაჭართა საზოგადოების პროექტი ტფილისში **სავაჭრო სკოლის** დაარსების შესახებ.

✦ ფინანსთა სამინისტროში იხილება ამ ჟამად პროექტი, რომლით განზრახვა აქვთ აუკრძალონ ბანკების **საბჭოთა და გამგეობათა წევრებს** იმავე თანამდებობაში სამსახური მეორე ბანკში.

✦ გზათა სამინისტროში დაარსებული კომისია შუამდგომლობს, **რკინის-გზის ტეხნიკებს** მეტი უფლები მიანიჭოს, ვიდრე ეხლა აქვთ.

✦ გუშინ აკურთხეს **საქონლის სადგურის საწყობები**, რომლებიც ახლად გააკეთეს ნაცვლად ამას წინათ გადამწვარისა, სადგურში კვლავ დაიწყო შეწყვეტილი მუშაობა.

✦ სრულიად რუსეთის **მეფუტკრეთა საერთო კრება** საბოლოოდ დანიშნულია მომავალ ნოემბრისათვის, კრების მომწყობელ კომიტეტს უკვე მოსვლია საკმაო რიცხვი სხვა და სხვა მოხსენებათა, მეფუტკრეები მოწვეულნი არიან იმპერიის ყველა კუთხიდან.

✦ ტფილისის მაზრის სოფელ საგარეჯოდგან გვატყობინებენ, რომ იქ შემდეგი **მკვლელობა მომხდარა**: საგარეჯოს მცხოვრები გრატიაშვილი, თავისი ცუდის ყოფაქცევით, მეტად აწუხებდა თურმე სოფელს, რისთვისაც ყურადღება მიუქცევია ამავე სოფლის მცხოვრებს როსტიაშვილს; მას ადგილობრივ მთავრობისათვის განუცხადებია ეს საქმე და უთქვამს ყურადღება მიექციათ, რომ გრატიაშვილს ასე არ ეფარფაშნა სოფელში. ამაზე გრატიაშვილი მოკვლას დამუქრებია როსტიაშვილს და 6 აგვისტოს კიდეც სისრულეში მოუყვანია თავისი მუქარა. ამდღეს ხალხი შეკრებილი ყოფილა დღესასწაულის გამო; როსტიაშვილთან რაღაც ჩხუბი აუტეხია გრატიაშვილს, უძვრია ხანჯალი და ჩაუკრავს გულში როსტიაშვილისათვის; როსტიაშვილს მიშველებია ადგილობრივი დარაჯი, რომელიც გრატიაშვილს მკლავში დაუჭრია და გაქცეულა. როსტიაშვილი რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაცვლილა; მკვლელი ჯერ ვერ მოუძებნიათ.

✦ ტფილისის **სასანიტარო სამკურნალო** ინსპექტორმა მისწერა გუშინ ქალაქის სამმართველოს განკარგულება იქნეს მოხდენილი, რომ ქალაქმა მტკვრის ორივე ნაპირები დაასუფთაოს იქ ნაყარ ნაგავ-მტვერისაგან.

✦ კვირას ქალაქის ინჟენერმა ბ. ენფიანჯიანცმა ტყისა და ბაღების გამშენებელ კომისიის თავმჯდომარე ბ. ნ. კალანთართან და სხვა წევრებთან ერთად **აშკარეთის წყაროები** გასინჯა. ბ. ენფიანჯიანცი დარწმუნებულა, რომ შეიძლება ამ წყაროებიდან კუკიის მინდვრების მოსარწყავად წყალი გაიყვანოს ქალაქმაო. ენფიანჯიანცის ანგარიშით ამ წყლის გაყვანას 60,000 მან. დასჭირდებაო.

✦ ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისია სამსახურიდან გადამდგარს გენერალ ლეიტენანტ ბუჭყიაშვილს სთხოვს, რომ გენერალმა ქალაქს თავისი სახლის მეორე სართული მიაქირავოს. ეს სახლი ორბელიანთ ქუჩაზეა და კომისიას პუშკინის სახელობაზე გახსნილ მე-2 სასწავლებლისათვის უნდა. ბუჭყიაშვილი წელიწადში 1000 მან. აფასებს თავის ხადგომს. უნდა შევნიშნოთ, რომ ადრე ბუჭყიაშვილი ქალაქსა სთხოვდა, ეს სახლი ქალაქის სამკურნალოსათვის ეყიდნათ, მაგრამ საგანგებო კომისიამ ექიმებისაგან და ტეხნიკოსებისაგან შემდგარმა, გასინჯა და სახლი უვარგისად სცნო.

✦ ტფილ. ტრამვაის **დირექტორმა ბლანშმა** ტფილ. ქალაქის გამგეობას სთხოვა, პოლიციის 1, 2 და 3 ნაწილში ტრამვაის ლიანდაგი შეაკეთეო. რადგანაც ეს შეკეთება თითონ ტრამვაის საზოგადოების ვალია, ამიტომ ბლანში შეკეთების ხარჯს თითონ ჰკისრულობს. ოღონდ მუშაობის დროს ქალაქის ტეხნიკი შახნაზაროვი დაინიშნოს ზედამხედველადაო.

✦ დ. ჩოხატაურიდან გვწერენ: „31 ივლისს აქ გაიმართა **ქართული წარმოდგენა** შემოვიდა 48 მ. და 51 კ. ამ ფულებიდან. 10 მ. გადაიდო ადგილობრივ სამინისტრო-სკოლის სასარგებლოდ და დანარჩენი გადაეცა ადგილობრივ სამკითხველოს. სკოლაცა და ბიბლიოთეკაც დიდ მადლობას სწირავენ წარმოდგენის გამმართველთ და დამსწრე საზოგადოებას“.

✦ პოლონელ ინჟენრებს შეუძენიათ ფერგანის ოლქში კარგა ბლომა ადგილები, სადაც, მათის აზრით, ნავთი უნდა ყოფილიყოს; ინჟენრებს დაეხმარენ ვარშაველი კაპიტალისტები და ამ წლის თებერვალში შესდგომიან ადგილების გამოკვლევასა, ეხლა თურმე ეჭვს გარეშეა, რომ ეს ადგილები მეტად **მდიდარია ნავთით**. ბევრი მსხვილი ნავთის მწარმოებელი სცდილა შეეძინათ ეს ადგილები, მაგრამ პოლონელები დიდ უარს არიან თურმე.

✦ გუშინ, 13 აგვისტოს, ლიუტერანთა სასაფლაოზე დაკრძალეს გვამი 10 აგვისტოს გარდაცვალებულის **გ. დ. ლეიტცინგერისა**, რომელიც 1891 წლიდან მათემატიკის მასწავლებლად იყო ტფილისის რეალურ სასწავლებელში. გარდაცვალებული ითვლებოდა მცოდნე და კარგ მასწავლებლად და დიდათ პატივცემული იყო ამხანაგთა და მოწაფეთაგანაც. ლეიტცინგერი უფასოდ ასწავლიდა ტფილისის საშუალო იაფ-ფასიან კურსებზე. ის სულ 41 წლის კაცი იყო და დასტოვა ცოლი და სამი წვრილშვილი. დასაფლავებას დაესწრნენ რეალურ სასწავლებლის მასწავლებელნი, მოწაფენი და დიდი საზოგადოება.

✦ ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოს მკურნალებმა ვოინომ და მარკევიჩმა ამ საავადმყოფოს სადოსტაქრო განყოფილების მოქმედების შესახებ **წლიური ანგარიში გამოსცეს**. ანგარიშიდან სჩანს, რომ ამ განყოფილებაში წარსულ წელს სულ 697 ავადმყოფი ყოფილა; ამათგან 24 მომკვდარა, ესე იგი 3,4%. გარედან მოსიარულე ავადმყოფი 6667 ყოფილა; ესენი სულ 25,127 ჯერ მოსულან საავადმყოფოში. ავადმყოფებში სადოსტაქრო და ვენერიული სნეულებით 4726 კაცი ყოფილა ავად, თვალის სნეულობით—1288, ყელის, ცხვირის და ყურების სნეულებით—653. ოპერაცია გაუკეთებიათ—1432 ავადმყოფისათვის. საავადმყოფოში მწოლიარე ავადმყოფებისათვის კი სულ 538 კაცისათვის გაუკეთებიათ ოპერაცია; ამათგან 16 მომკვდარა, ესე იგი 2,7%.

✦ **ტფილისის გუბერნატორმა** მოსთხოვა, ტფილ. ქალაქის გამგეობას საჭირო ღონისძიება მიიღე, რომ ამას იქით ქალაქში შენობა აღარ დაინგრეს ხოლმეო. გუბერნატორი დასძენს, თუ ჩემი მოთხოვნილება ორის კვირის განმავლობაში არ შეასრულეთ, მაშინ სადაც ჯერ არს ვეცდები, რომ ქალაქის გამგეობა ამ საქმეზე პასუხის გებაში მიიცესო.

✦ გუშინ **ქალაქის გამგეობამ** განიხილა: ქალაქის ხმოსნებს უფლება აქვთ ქალაქის საქმეები იჯარით აიღონ, თუ არაო- ამ საქმეზე ქალაქის საბჭოს არავითარი დადგენილობა არა ჰქონია. ყოფილა ხოლმე მაგალითები, რომ ტფილისის ქალაქის ხმოსნებს ქალაქის საქმე იჯარით აუღიათ. ქალაქის გამგეობა ამ საქმის თაობაზე ქალაქის საბჭოს მოახსენებს და თავის მხრივ სთხოვს, რომ ამასიქით ხმოსნებს უფლება აღარა ჰქონდესთ ქალაქის საქმეები აიღონ ხოლმე.

✦ ქალაქის გამგეობა მალე ბულვრის ქუჩის—ვაგზლიდან ელისაბედის ქუჩაზე მიდის— **შეკეთებას შეუდგება**, ანგარიშით ამ ქუჩის მოკირწყლვას 4800 მან. დასჭირდება. ეს საქმე იჯარით იქნება გაცემული.

✦ ტფილ. ყასაფხანასთან გამართულ საქონლის ბაკის ზედამხედველი **ბეითალი ვარშამოვი** ორი კვირის ვადით დაითხოვეს. ვარშამოვი წავიდა კიდეც ქალაქიდან, მის მაგიერ კი ჯერ არავინ დაუნიშნავთ და ამ ჟამად ქალაქის საქონლის ბაკს არც ერთი ბეითალი არ უგდებს ყურს.

✦ ჩვენ გვატყობინებენ: ამ ბოლოს დროს ავლაბრის მინდორში ბევრი **საქონელი იკარგებაო**. თითქმის ყოველ-დღე იპარავენ საქონელს და ნამეტნავად ყასბის საქონელს ეტანებიან ქურდებიო. ჯერ ერთი ქურდიც არ დაუჭერიათ, არც თუ თავს იწუხებს ვინმე ქურდების ძებნითაო. კარგი იქნებოდა, სამაზრო პოლიციას ყურადღება მიექცია და საერობო დარაჯები მაინც დაეყენებინა ავლაბრის მინდორშიო.

✦ ამ ჟამად ნავთლუღში რკინის გზის სადგურთან **ბევრ მკვახე და დამპალ ნესვსა** და საზამთროს ჰყიდიან. იქ მუშტარიც სულ ღარიბი მუშა ხალხია. რასაკვირველია მკვახესა და დამპლის ჭამა არც ამათ არგებს. აკი, როგორც ამბობენ, ნავთლუღში უკვე კუჭის ავადმყოფობა გაჩენილა. კარგი იქმნება ქალაქის ექიმებმა ყურადღება მიაქციონ და უვარგისი ნესვისა და საზამთროს გაყიდვა აკრძალონ.

✦ შუა ბაზარსა და მუხრანის ქუჩის კუთხეში ამდენი ხანია იდგა რკინის ბოძი, სადაც აჩერებდნენ ხოლმე ცხენის **რკინის გზის ვაგონებს** ხალხის ჩამოსასმელად; რაღაც მიზეზისა გამო ეს სვეტი იმ ადგილიდან აუღიათ და ვაგონებს აღარ აჩერებენ; საკვირველია, რას გამოუწვევია ეს გარემოება, როცა ეს საჭიროა.

✦ სასტუმრო „როსიაში“ მცხოვრებმა გენერალმაიორმა ნიკოლოზ რევაზის ძემ გოგნიაშვილმა განაცხადა 12 აგვისტოს პოლიციის მესამე ნაწილში, რომ მისი საცხოვრებელ ნომრიდან ვიღაც ბოროტგანზრახველმა ღამით მოჰპარა სხვა-და-სხვა ოქროს ნივთები სულ 163 მან. ღირებული; ეჭვი ქურდობაში მიიტანეს იქვე სასტუმროს გვერდით მკერვალ ჯებოიანცზე, რომელიც პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

✦ პოლიციის პირველს ნაწილში წყნეთის ქუჩაზე, თავ. ვაჩნაძის სახლიდამ გაუფრთხილებლობისა გამო 15 არშინის სიმაღლიდან გადმოვარდა 11 აგვისტოს მუშა, სპარსეთის ქვეშევრდომი ადა (გვარი არ იციან) და დაშავდა. მუშა მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს შემწეობის აღმოსაჩენად, სადაც საწყალი ორის წამის შემდეგ გარდაიცვალა.

✦ ვერაზე საუფლისწულო მამულს ახლო ამ მამულის ეზოს დარაჯს უნახავს ორის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი მდედრობითი სქესისა, რომელიც ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

პრესსა

ხალხს იურიდიული დახმარება აკლია. ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ვინ არ იცის, რამდენი ვნება მოაქვთ ხალხისათვის უმეცარ და გაიძვერა „აბლაკატებს“? მათ ქსელში გაბმული გლეხი ხშირად უარეს ყოფაში ვარდება ვიდრე საქმის დაწყებამდე იყო. „აბლაკატები“ ნივთიერად აღარიბებენ ხალხს და ამასთანავე რყვნიან მათ. ამიტომ მეტად საჭიროა მოეწყოს და მოწესრიგდეს ხალხის იურიდიული დახმარების საქმე. გაზეთი „როსსია“, ეხება-რა ამ საკითხს, მწუხარებას აცხადებს იმის გამო, რომ განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სასამართლო დებულებათა გადასინჯვა, ყურად-

ლება არ მიაქცია აღნიშნულ საკითხს. გაზეთის აზრით, ეს საქმე უნდა იკისრონ ქალაქმა და ერობამ. ამ თვითმმართველობათ უნდა მოაწყონ ვექილთა კონსულტაციები, რათა ხალხს შეძლება ჰქონდეს საჭირო რჩევა-დარიგება მიიღოს და თავის ინტერესების დამცველი იყოლიოს. მაგრამ რადგანაც ქალაქებსა და ერობათ საკმაო საშუალება არა აქვთ, საჭირო არისო, ამბობს გაზეთი, ხაზინამ აღმოუჩინოს მათ დახმარება.

* * *

თუ რამდენად განუვითარებელი და გონების სიბნელით მოცულია ჯერ კიდევ გლეხი, სჩანს შემდეგის მაგალითიდან:

„დილით ადრე სასაფლაოს დარაჯმა შემოიარა სასაფლაო და ერთ ადგილას შეამჩნია, რომ ერთის ახლად გარდაცვალებულ რუს-ყაზახის საფლავი გათხრილია. დარაჯი ახლო მოვიდა სასაფლაოსთან და ნახა შემდეგი სურათი: საფლავი სულ გადათხრილია, მიცვალებულის კუბო გატეხილა და თვით მიცვალებულის გვამი დაჭრილია. პოლიციის გამოძიებით, გვამი დაუჭრიათ იმ მიზნით, რომ წელები ამოეღოთ, რაც კიდეც ჩაედინათ. ზოგიერთის ნიშნებით მიაგნეს ამ საკვირველს ცუდ-კაცობის ჩამდენთ-ესენი ყოფილან სამი ახალგაზრდა ყაზახი; ერთ ამათგანს მოპარული წელებიც უნახეს ქოთანში. ეს უკანასკნელი გულწრფელად გამოტყდა და სხვათა შორის გამოაცხადა, რომ ეს საქმე ჩაიდინეს, რადგან ქურდებ შორის შემდეგი რწმენაა გავრცელებული. თუ ქურდი იშოვის ადამიანის ქონიდან გაკეთებულ სანთელს, ქურდობის ან სხვა ცუდ კაცობის ჩადენის დროს არაფრის არ უნდა ეშინოდეს: სანთელს სასწაულებრივი ძალა აქვს: იგი აშინებს ხალხსა და ძაღლს, აღებს ბოქლომებს და კლიტეებს; ამავე სანთლის საშუალებით შეიძლება, მათის რწმენით, ჩაფლულ „ხაზინის“ მონახვა და სხვა“.

სადაც გონების ასეთი სიბნელეა გავრცელებული, ბევრი და ხანგრძლივი შრომაა საჭირო ხალხის უკეთეს ცხოვრებისათვის მოსამზადებლად.

პროვინცია

თელავი. გაწვდით რამდენიმე ცნობას თელავის საზოგადო საქმეების შესახებ. მგონი, ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ აქ არსებობს 1897 წლიდან ქალების მეცადინეობით დაარსებული სამკერვალო სახელოსნო, სადაც ჭრა და კერვის გარდა, ყველა საგანს ქართულს ენაზედ ასწავლიან. ამ სახელოსნოში ამ ჟამად ოცდა-ათ ქალზედ მეტი მოწაფეა; სამის წლის განმავლობაში ეს ქალები ისე ემზადებიან, რომ მატერიალურად თითქმის უზრუნველნი იქნებიან. მე თითონ ჩემის თვალით მინახავს ქალების სამკერვალოში კურს გათავებული მოწაფე, რომელიც ასაზრდოებს თავისს ღარიბ ოჯახს. წელიწადში ათმა და რვა ქალმაც რომ გაათავოს სწავლა, იმ შემთხვევაშიაც დიდი საგრძნობელი სასარგებლოა სახელოსნო თელავის ღარიბ ქალებისათვის.

სახელოსნოს გარდა ქ. თელავში საკვირაო სკოლაა, სადაც ორასს მოწაფეზედ მეტია და აქაც, როგორც კაცები, ისეც ქალებიც მხურვალე მონაწილეობას იღებენ. შეუძენიათ ფარანი ბუნდოვანი სურათების საჩვენებლად და ენკენისთვიდან სახალხო კითხვებიც გაიმართება. სულ რამდენიმე დღეს ვიყავ თელავში და ამ მოკლე ხანში ორი კონცერტი გაიმართა საქველმოქმედო მიზნისათვის. ერთი კონცერტი იყო გამართული ხსენებულ ქალების სახელოსნოს სასარგებლოდ—კონცერტის წინათ წარმოდგენა იყო ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. დიდის მადლობის ღირსია ჩვენი ნაჭარმაგევი მსახიობი, რომელიც ყოველს საზოგადო საქმეს სიამოვნებით და თანაგრძნობით ეხმარება.

მეორე კონცერტი ყოვლად სიმპატიურის მიზნისათვის იყო გამართული, ესე იგი მომავალი სახალხო სახლის ასაგების ფონდისათვის, სადაც იქნება მოთავსებული სახალხო თეატრი და წიგნთ-საცავი. დარწმუნებული ვარ, რომ თელავში სახალხო თეატრიც მალე იქნება აგებული, რაკი აქ ყოველ საქმეს თანაუგრძნობენ და ენერგიით ეკიდებიან.

ყველამ კარგად იცის, რომ პროვინცია უფრო ცუდ პირობებშია საზოგადო საქმის გაძღოლის მხრივ; მით უმეტესათ დიდის პატივის-ცემის ღირსნი არიან აქაური ქალები და სწორედ სიამოვნებით ვუყურებდი იმათ დაუზარებელს, უანგარო და წრფელს მოქმედებას.

მარიამ დემურიასი

სოფ. ჯურუყვეთი. (გურია) «სხვა-და-სხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია ძველიაო», რომაა ნათქვამი, სწორედ ჩვენზეა გამოჭრილი. ამ წლის წვიმიანობამ ღამის მოსავლისაგან გაგვანადგურა; ამაზედ დაერთო სხვა-და-სხვა ჭირი: გაჩნდა დიფტერიტი და ბავშვებს მუსრი გაავლო, ეხლა «მუცელა» მოედვა მთელს სოფელს და დღე არ გავა რომ სამი და ოთხი მიცვალებული არ იმარხებოდეს. პატრონი და მშველელი არავინა სჩანს, ჟერე არც-კი უცნობებიათ ჩვენი სოფლის მამათ მაზრის უფროსისა და ექიმისათვის. ბ-ნი მამასახლისი და მისი მდივანი ასე მცირე საქმისათვის თავს არ იწუხებენ, რადგან მათ უფრო საყურადღებო საქმე აქვთ გასარიგებელი: სამხედრო ბეგარის მოსახდელად იწვევენ ჩვენი სოფლის რამდენიმე ახალგაზდას და ამათი სადღეობა აწუხებსთ და დღე და ღამე ცდილობენ, რომ რამე უშველონ, რასაკვირველია, უსასყიდლოდ.. რადგანაც მეტის-მეტი გულ-ჩვილი არიან, როგორც «მოსე მწერალი».

დიმ. გიგინეიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით ურღმესი მადლობა გამოვუცხადო ბ. ასლან თედორეს ძე სადრაძეს, რომელმაც შემოქმედის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ ნაცნობთა და მეგობართა შორის შეჰკრიბა 70 მ. და მისს საწევრო ფულთან ერთად წარმოგვიგზავნა 75 მ. 50 კ. მადლობას ვუცხადებთ ყველა იმათაც, ვინც ამ საქმისთვის მას შეწეობა აღმოუჩინა სია შემომწირველთა: ხუთ-ხუთი მანეთი—ასლან სადრაძემ, ივანე მახარაძემ; სამ-სამი მანეთი—მელიტონ თოიძემ, შალიკო მალაზონიამ, ვასილ კახიანმა, პარმენ თავზაძემ, ტიტიკო დუმბაძემ, ალექსი გორდელაძემ, ანისიმე შავგულიძემ, კასიანე კვირკველიამ, სტეფანე ელიაძემ; ორი მანეთი—ნოე თოიძემ; მანეთ ნახევარი—ნიკიტა ანტონიუკმა, ექვსი იბაზი—ალექსანდრე სიხარულიძემ; თითო მანეთი: სარდიონ ჯაფარიძემ, მაქსიმე მახარაძემ, ვიქტორ თათუშვილმა, ვასილ ახობაძემ, ილია შარაშიძემ, ივანე გოგოლიშვილმა, ჩეგუნაძემ, ალექსანდრე ჯაყელმა, სტეფანოვმა, სოლომონ ხომერიკმა, მღვდ. ესტატე კვირკელიამ, ანტონ ეუჯავამ, ალექსა ჰანკვეტაძემ; ცამეტი შაური—დ. გიორგობიანმა; ათ-ათი შაური: დიმიტრი შაქკოვმა, ნიკოლოზ შავგულიძემ, ანტონ სტაცენკომ, ვასილ ციხისელმა, დ. გიორგობიანმა, მიხეილ შავგულიძემ, კებაძემ, ალექ. ცალაგანოვმა, პავლე კერესელიძემ, პავლე გიორგაძემ, ამბაკო რამიშვილმა, ივანე ჩიტაიამ, პავლე მანოხლემ, ივანე მაღულარიამ, ანდრია სმირნოვმა, იასონ ჩიტაიამ, ილია დალაქიშვილმა, ნიკოლოზ გაბარაშვილმა, სოფრომ ხარაძემ, ანდრია მელაძემ, მელიტონ შავდიამ, სანდრო შავგულიძემ, ალექსი ვარლამოვმა, იოჩიომ, პლატონ მახარაძემ; 45 კ.—კობელევმა; 25 კ.—სტეფანე ანისიმოვმა, ვასილ ზმიევმა; თითო-აბაზი—ნიტიომინმა და მაღლარიამ.

შემოქმედის უფასო სამკითხველოს გამგე

მღ. დ. შილაკაძე.

II

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულს გაზეთში გამოაცხადოთ ანგარიში დ. სურამში, 28 ივლისს, ჩემს მიერ გამართულ წარმოდგენისა.

შემოსავალი იყო ბილეთებისა, ბუფეტისა და ვახშმისა სულ 264 მ. 87 კ. გასავალი: პარიკმახერს—8 მ., მუსიკა—10 მ., დუდუკი—8 მან., ბილეთები, აფიშები და მარკები—12 მ. 70 კ., ვახშამის პროვიზია, სასმელები, ხილი, ტკბილეულობა, კონფეტი და თეატრისა და ბუფეტის ქირა—118 მ., სურამში მისვლა-მოსვლა თეატრის დასაქირავებლად, რეპეტიციებზე, მოთამაშეების ჩასვლა-ამოსვლა, ნომერი, სადილი, წვრილი ხარჯი თეატრისათვის—25 მ. 29 კ. სულ 181 მ. 99 კ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 83 მ. 88 კ. ეს ფული გადაეცემა: 40 მ. სტუდენტს ნ—შვილს და 43 მ. და 88 კ. ქვიშხეთის სკოლას, რასაც თავის დროზე მიმღებნიც გამოაცხადებენ.

უგულითადესს მადლობას ვსწირავ ყველა იმ პირთ, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს ამ წარმოდგენაში, განსაკუთრებით ქ. ე. ჩერქეზიშვილისას, კ. ყიფიანს, ციმაკურიძის ოჯახს, ნ. და მ. ყიფიანის ასულებს, ქ. ოგანეზოვისას, ბ. გაბარაევს, ვ. მურმანიშვილს, კნ. მ. ამირეჯიბისას, კნ. ს. ამირეჯიბს, თ. ყიფიანისას და გ. დავითიშვილს.

ნ. ყიფიანისა.

III

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის „ცნობის ფურცლის“ საშუალებით, დავეკითხო ყველა ჩვენებურს ჟურნალ-გაზეთის რედაქციებს—არიან მოვალენი, თუ არა რკინის-გზის სადგურის უფროსები, რომ მიღებული ჟურნალ-გაზეთი პატრონის მოკითხვამდე ინახებოდეს სადგურში და არ ხმარობდენ ფეხზე სახოვად. მე, თქვენს უმორჩილესს მონას, მომდის ჯუმათის სადგურში ოთხი ჟურნალ-გაზეთი, რომელთაგან თვეში ორ ნომერს ვერ ვღებულობ. ჩემი მხრითაც მინდა დავეკითხო ხსენებულ სადგურის უფროსს, მიპასუხოს, რა მიზეზია ჩემი გაზეთის გაბნევისა?.

დიმიტრი გიგინეიშვილი.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

13 აგვისტო.

კაპშტადტი. ბ-რები კაპის ახალშენის სამხრეთისაკენ მიდიან- შეფერის რაზმი სუტსგარნს ემუქრება.

ტანჟერი. პეტერბურგში და პარიზში რომ მაროკოს ელჩები იყვნენ, დღეს მოვლენ საფრანგეთის გემით.

ტულუზა. სამხედრო მინისტრმა ანდრემ დღეს ნადიმზე ილაპარაკა და ყველა ის აღნიშნა, რაც კი ეხლანდელ მთავრობას ჯარისთვის გაუკეთებია. შემდეგ მინისტრმა გამოაცხადა: მართალია ჯარი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდესო, მაგრამ ხალხთან კი მით უფრო მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდესო. სამხედრო მინისტრმა გაიხსენა ის ბრძოლები ჩინეთში, სადაც საფრანგეთის ჯარმა მონაწილეობა მიიღო და სადაც ფრანგი ჯარის კაცები თავიანთ ამტანლობით, მამაცობით და მორჩილებით უცხოეთის სხვა რაზმებს სწორედ აკვირვებდნენო. სამხრეთ ორანში ხელოვნურის მოქმედებით სისხლის ღვრა ავიცილეთო; ამით საფრანგეთსა და მაროკოს შუა მეგობრობა უფრო გამტკიცდაო. მინისტრმა ამ სიტყვებით დაასრულა: ვფიქრობ, რომ საფრანგეთის მეგობარი ერის უავგუსტოესს ხელმწიფეს მალე ამაყად წარუდგენთ ჩვენ ჯარებს.»

არხანგელსკი. 12 აგვისტოს ყველას საყვარელი გუბერნატორი ენგელგარდტი არხანგელსკიდან სარატოვში გადაიყვანეს.

არხანგელსკი. იმ ექსპედიციის უფროსი, ბორისოვისაგან, რომელიც ნოვაია ზემლიაზე წავიდა, შემდეგი ამბავი მოვიდა: ძლივს ძლივობით ხმელეთს მივაღწიეთო. თუმცა ბევრი გაჭირება გამოვიარეთ, ბევრი სამეცნიერო იარაღი, ნაწერები და სურათები დაგვეღუპა, მაინც ჩვენ ყველანი კარგადა ვართ და ზამთარიც კარგად გავატარეთო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. მეგემეების კრებაზე დღეს იმის თაობაზე ჰქონდათ თათბირი, რომ მდინარე კამაზე გემით მიმოსვლა მეტად გაჭირდა, უსათუოდ საჭიროა, რომ მდინარე დაღრმავდესო.

ხარკოვი. წუხელის ალექსეევის ამხანაგობის მატყლის მრეცხავი ორთქლის ქარხანა და რაც კი ქარხანაში მატყლი ეწყო სულ მთლად დაიწვა. მატყლი მილიონ ნახევარ მანეთად იყო დაზღვეული რუსეთის პირველ საზოგადოებაში და შენობაც 220 ათასში; ზარალი ჯერ გამორკვეული არაა.

ვარშავა. სვიის ბაზრობა 12 ენკენისთვეს გაიხსნება; სვიას 4 ენკენისთვიდან მიიღებენ.

კიევი. 12 აგვისტოს, ახალი მოსავლი პური ცოტა იყიდება; პურის, ქვავის და შვრიის ფასმა ფუთზე ერთი-ორი კაპეიკი მოიმატა. კარგი წვიმა მოვიდა.

უნივერსიტეტში 90-მდე არზა შეიტანეს.

პარიზი. გუშინ როცა პრეზიდენტი ლუბე რამბულიედან ბრუნდებოდა, ხალხი დიდის აღტაცებით ეგებებოდა და ყვიროდა: „რუსეთის იმპერატორს გაუმარჯოსო“.

ბერლინი. „ნოარდდეუჩე ალგემეინე ცაიტუნგ“-ს გაუგია, რომ იმპერატორ ვილჰელმისა და რუსეთის იმპერატორის შეხვედრის დროს იმპერიის კანცლერი ბიულოვიც დაესწრებაო.

პარიზი. „გოლოას» გაუგია: მინისტრების საბჭოს თათბირი ექმნება იმის თაობაზე, რომ უმაღლესი სასამართლოს მიერ დასჯილ პირებს ეპატიოსო.

კილი. რუსეთის ჯავშნიანმა გემმა „იმპერატორ ნიკოლოზ I“-მა ხუთი დღე დაჰყო აქაურ ნავთ-სადგურში და შემდეგ ზღვაში წავიდა.

რედაქტორი **ალ. ჭყონია.**

გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 10 აგვისტოს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00	
ბერლინზე 100 მარკაში	46,02½	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,65	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,50	
ბირჟის დისკონტი	5½—7%	
4% სახელმწიფო რენტა	96	მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	428½	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	339¾	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	231½	„
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	88	„
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—	
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5 % გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუადამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Августа 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.